თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №6

თბილისი, 15 სექტემბერი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 15 სექტემბრის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- სხდომის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი.

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ლელა ლევანიძე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – შალვა პაპუაშვილი;
- „საქართველოსთვის“ – მინდია დავითაძე.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- USAID – ხათუნა კუნჭულია.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) – ბექა შეწირული;
- „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ლაზარე ჯიბლაძე;
- „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;

- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 16:00 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა.

2. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) მიერ კომისიისთვის გამოგზავნილი განცხადების განხილვა.

3. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 6-13 სექტემბრის მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.

4. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდეგ ბატონმა თორნიკემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა, ეპიდემიური სიტუაციის გაუმჯობესების გათვალისწინებით, კომისიის შემდგომი სხდომა ონლაინ რეჟიმის ნაცვლად გამართულიყო იუსტიციის სამინისტროს შენობაში ყველა რეგულაციის დაცვით, რაზეც კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

რამდენადაც წინა სხდომაზე განხილულ ზოგიერთ ფაქტთან დაკავშირებით კვლავ მიმდინარეობდა მოკვლევა, სხდომის თავმჯდომარემ შესაბამის უწყებებს სთხოვა, წარმოედგინათ ინფორმაცია ამ მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) წარმოადგინა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროში შესულ სახალხო დამცველის წერილთან დაკავშირებით, რომელშიც საუბარი იყო რამდენიმე პირის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე, ასევე, წინა სხდომებზე წამოჭრილი 12 საკითხის თაობაზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სსკ 169-ე მუხლით (პირის იძულება, დაწეროს განცხადება საკუთარი ინიციატივით სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ). ამ გამოძიების ფარგლებში აქტიურად გამოიკითხება ყველა ის პირი, ვის შესახებაც ღია წყაროებსა და სამინისტროსთვის მოწოდებულ ინფორმაციაში

იქნება საუბარი; ჩატარდება ობიექტური და სრულყოფილი გამოძიებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

ზემოაღნიშნული 12 საკითხიდან ერთ-ერთი ეხებოდა ქალბატონ ლელა გუდარიძეს (პარტია „საქართველოსთვის"). ყაზბეგის რაიონულ სამმართველოში გასაუბრებისას მან განმარტა, რომ მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიული სიის მე-9 ნომრად. მისი თქმით, სიაში მისთვის მიუღებელი პირების აღმოჩენის შემდგომ საკუთარი სურვილით დატოვა პარტია და პირადი განცხადებით მოხსნა კანდიდატურა. ქალბატონი ლელა არანაირ მუქარას ან ზეწოლას არ ადასტურებს.

ყაზბეგში კენჭს იყრიდა ქალბატონი ნათელა ავსაჯანიშვილიც (გორისციხის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, პარტიული სიის მესამე ნომერი). მან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ამომრჩეველთან შეხვედრებისას ჰქონდა მცირე მხარდაჭერა, რის გამოც სათუო იყო მისი გამარჯვება. ამის თაობაზე ესაუბრა მერობის კანდიდატ გოგი გომიაშვილს და მიიღო საკუთარი კანდიდატურის მოხსნის გადაწყვეტილება. გასაუბრებისას მას არანაირ კანონსაწინააღმდეგო ფაქტზე არ მიუთითებია.

ბატონმა ოთარ ქარჩაიძემ (პარტია „საქართველოსთვის"), გუდაურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ამომრჩეველთან შეხვედრებისას გააცნობიერა, რომ გაუჭირდებოდა არჩევნებში გამარჯვება და მიიღო გადაწყვეტილება პარტიის დატოვებისა და კანდიდატურის მოხსნის შესახებ. გადაწყვეტილების შესახებ მან თავადვე აცნობა პარლამენტის წევრს, ბატონ შალვა კერესელიძეს.

სოფელ კობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ქალბატონმა მზია ჩქარეულმაც, გასაუბრებისას იგივე განაცხადა, რომ მისთვის რთული იქნებოდა არჩევნებში გამარჯვება და მიიღო კანდიდატურის მოხსნის გადაწყვეტილება. მან ტელევიზიით გაიგო, რომ თითქოს ეს გადაწყვეტილება უკავშირდებოდა მის მიმართ განხორციელებულ მუქარას, რაც, მისი თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება, არც მის და არც მისი ოჯახის წევრების მიმართ ადგილი არ ჰქონია რაიმე მუქარას.

მესაქონლეობით დაკავებული, ადიგენში მცხოვრები კობა გელაშვილი ნებაყოფლობით გახდა პარტიის „საქართველოსთვის" წევრი და აპირებდა 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას. იგი იყო მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი და პარტიული სიის მესამე ნომერი. მას სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით უთანხმოება მოუვიდა პარტიის წევრებთან და მიიღო გადაწყვეტილება საკუთარი კანდიდატურის მოხსნასთან დაკავშირებით. ბატონ კობას არანაირი კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ არ მოუწოდებია ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და არც პრეტენზია გამოუთქვამს კონკრეტული პირების მიმართ.

ადიგენში მესაქონლეობით დაკავებულმა ბატონმა თენგიზ საგინაძემაც (პარტიული სიით 25-ე) გასაუბრებისას აღნიშნა, რომ, ვინაიდან საარჩევნო პროცესი მოითხოვდა დიდ დროსა და ენერგიას, დრო აღარ რჩებოდა მესაქონლეობისთვის; ამასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე (კარდიოლოგიური პრობლემები) მიიღო კანდიდატურის მოხსნის გადაწყვეტილება. არც მას გამოუთქვამს რაიმე პრეტენცია კონკრეტული პირების მიმართ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებით.

ადიგენში გამოკითხულმა ბატონმა გიორგი რჩილაშვილმა (მე-5 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი და პარტიული სიის მესამე ნომერი) განაცხადა, რომ აქტიური შეხვედრები უწევდა ამომრჩეველთან, რაც დიდ დროს მოითხოვდა და უჭირდა მის ძირითად საქმიანობასთან – მესაქონლეობასთან შეთავსება. შესაბამისად, მიიღო პარტიის დატოვების გადაწყვეტილება და გამორიცხავს მის მიმართ რაიმე სახის ზეწოლას. ბატონი გიორგი არანაირ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე არ მიუთითებს.

თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მცხოვრებმა, ბატონმა ნოვრუზ დიდათოღლიმაც, საკუთარი სურვილით დატოვა პარტია. მან აღნიშნა, რომ კოვიდინფიცირებულია და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო აღარ სურს პარტიული საქმიანობის გაგრძელება.

ახალქალაქში ლორად ეზოიანმაც საკუთარი სურვილით დატოვა პარტია და არანაირ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე არ მიუთითებს.

ასევე, ახალქალაქში ვრეშ კაზარიანმაც განაცხადა გასაუბრების დროს, რომ საკუთარი სურვილით დატოვა პარტია და არანაირ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ ჰქონია მის მიმართ ადგილი.

გამოკითხულ იქნა ახალქალაქში მცხოვრები ოვანეზ ოვსეპიანიც. მანაც აღნიშნა, რომ საკუთარი სურვილით დატოვა პარტია და მის მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ადგილი არ ჰქონია.

გამოკითხვისას ბატონმა ლევან თათოშვილმა აღნიშნა, რომ არის პარტიის „საქართველოსთვის" კოორდინატორი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და მის მიერ პარტიულ საქმიანობაში ჩართვის შემდგომ დედამისი მარინე აბულაძე (ახალციხის საბავშვო ბაღების გაერთიანების იურისტი) და დეიდამისი თამარ აბულაძე (საკრებულოს აპარატის უფროსი) დაიბარეს და მოსთხოვეს თანამდებობების დატოვება, უარის მიღების შემდეგ კი, გაათავისუფლეს სამსახურებიდან. თათოშვილის განმარტებით, რაიმე ზეწოლის ან მუქარის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ხოლო რაც შეეხება მისი ოჯახის წევრების სამსახურებიდან უკანონო გათავისუფლებას, მან უკვე მიმართა სასამართლოს და მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება.

გასაუბრება შედგა ბატონ თეიმურაზ კვირტიშვილთანაც, რომელსაც ეკავა დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობა. მან განაცხადა, რომ სოციალურ ქსელში კონსტანტინე ანანიაშვილის ფოტოების მოწონების გამო დაიბარა მისმა ხელმძღვანელმა და მიანიშნა, რომ ეს ფაქტი იწვევდა უხერხულობას. შემდგომში მისი სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური სახდელის დადების ფარგლებში განხორციელდა; კერძოდ, მის მიმართ ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, დაეკისრა დისციპლინური სახდელი და გაათავისუფლეს სამსახურიდან. აღნიშნულ ფაქტს ბატონი თეიმურაზი უკავშირებს „ფეისბუქის" გვერდზე სხვადასხვა შინაარსის პოლიტიკური პოსტების მოწონებას. რაც შეეხება სამსახურიდან მის გათავისუფლებას, დამსაქმებელი მას ედავება გადაცდომას.

დასასრულ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ კომისიას შემდგომი სხდომებისთვის ეტაპობრივად მიაწვდის დანარჩენ პირებთან ამ ეტაპზე მიმდინარე გასაუბრებების შესახებ ინფორმაციას.

ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა (გენერალური პროკურორის მოადგილე) განაცხადა, რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მსგავსად, საქართველოს პროკურატურაშიც დაიწყო გამოძიება სახალხო

დამცველის მომართვის საფუძველზე, სსკ 169-ე მუხლით. ამ გამოძიების ფარგლებში პროკურატურა შეისწავლის 5 ფაქტს და გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება უწყებათაშორის კომისიას.

ბატონმა გიგი ჩიხლაძემ („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო") ზემოაღნიშნული ინფორმაციის მოსმენის შემდეგ წამოაყენა ინიციატივა, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებათაშორისი კომისიისთვის მოეწოდებინა სტატისტიკური ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით, რამდენადაც სწორედ ამგვარი იყო უწყებათაშორისი კომისიის პრაქტიკა წინა წლებში.

ინიციატივას დაეთანხმნენ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. ბატონი ალექსანდრე დარახველიძის თქმით, ეს ყოველივე ხელს შეუწყობს კომისიის წევრებისა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოების ინფორმირებას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, რათა განსხვავებული წარმოდგენა არ შეიქმნას ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით.

უწყებათაშორის კომისიაში წარმოდგენილი „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" (ISFED) საჩივართან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის, ბატონი გოგა გულორდავას („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"), მხარდამჭერ „ფეისბუქის" პერსონალურ ანგარიშზე ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნების შემცველი ფოტომასალის გავრცელებას, ბატონმა თორნიკემ სიტყვა გადასცა გენერალური პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს.

ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ საჩივარში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სსკ 164[1] მუხლით დაიწყო გამოძიება (ამომრჩევლის მოსყიდვა). მისი თქმით, გამოძიების შედეგების შესახებ ეტაპობრივად ეცნობება უწყებათაშორის კომისიას.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე – მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის თაობაზე, რომელიც შეეხებოდა შესაძლო პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეობის ჩამორთმევას, კერძოდ კი, სამცხე-ჯავახეთში ნინოწმინდის მერობის კანდიდატზე ზეწოლის მიზნით მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხს, ბატონმა თორნიკემ განაცხადა, რომ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან" ინფორმაციის გადამოწმების შედეგად არანაირი კომუნიკაცია არ დასტურდება ნინოწმინდის მერობის კანდიდატთან. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ისაუბრა იმ ინფორმაციის შესახებაც, რომელიც შეეხებოდა პატიმრებსა და პრობაციონერებზე შესაძლო ზეწოლას და მათთან მიმართებით ხმების სანაცვლოდ „პაემნებით ვაჭრობას". მისი თქმით, შექმნილი ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, პენიტენციურ სისტემაში გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული, მათ შორის, შეზღუდულია ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ეს შეზღუდვა თანაბრად ვრცელდება ნებისმიერ პატიმარზე. არანაირი გამონაკლისი ამ მხრივ არ არსებობს, რამდენადაც პროცესი დარეგულირებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. იმის გათვალისწინებით, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში აქტიურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ იმედი გამოთქვა, რომ მალე მოიხსნება ზემოაღნიშნული შეზღუდვები და

პატიმრები კვლავ შეძლებენ ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობას. ამასთან, მედიაში გავრცელებული ზემოხსენებული ინფორმაციაც არ შეესაბამება სიმართლეს.

შემდგომ საკითხზე სასაუბროდ, რომელიც შეეხებოდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სხვადასხვა ქალაქში გამოვლენილ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და შესაძლო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტებს, სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

ბატონმა ნიკოლოზმა წარმოადგინა მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაცია:

დუშეთში, ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის, ბატონი თორნიკე თათარაშვილის, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აღსანიშნავია, რომ ეს პირი დაინიშნა მიმდინარე წლის 2 აპრილს და მერის ბრძანებით გათავისუფლდა 13 მაისს. გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით თათარაშვილმა მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს. თორნიკე თათარაშვილი წარმოადგენდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს და არა საჯარო მოხელეს ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები ინიშნებიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, რაც იმას გულისხმობს, რომ ეს პოზიცია არის თანამდებობის პირზე მიბმული და მასზე მყოფი პირის დანიშვნა/გათავისუფლებას ერთპიროვნულად წყვეტს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი. რაც შეეხება საარჩევნო კოდექსის შესაძლო დარღვევას, თორნიკე თათარაშვილის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია 13 მაისს – წინასაარჩევნო პერიოდამდე. შესაბამისად, ამ მხრივ, დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის“ ადმინისტრაციის დირექტორის, ბატონი გიორგი მეზვრიშვილის, თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ იგი მიმდინარე წლის პირველი მარტიდან ასრულებდა მოვალეობას, ხოლო გათავისუფლდა 13 მაისს, წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. მეზვრიშვილი არ იყო საჯარო მოხელე. თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ერთპიროვნულად ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი.

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლის, ბატონი გია აბულაძის, სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ხაზგასასმელია, რომ იგი სამსახურიდან გათავისუფლდა 25 მაისს და გამოცემულია საკრებულოს ბრძანება თანამდებობიდან მისი გათავისუფლების თაობაზე. ხსენებულ აქტში მითითებულია შესაბამისი საფუძვლები სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და გარკვეული გადაცდომის კუთხით. შესაბამისად, გია აბულაძის სამსახურიდან გათავისუფლება არ უკავშირდება წინასაარჩევნო პერიოდს.

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაციის“ მთავარი სპეციალისტის, ბატონი ხვიჩა დოლბაიას, სამსახურიდან გათავისუფლების მხრივ აღსანიშნავია, რომ იგი დასაქმებული იყო ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით. 2021 წლის 19 მაისს დოლბაიას შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება; მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების

საფუძველზე, რომლის თანახმადაც, დამსაქმებელს უფლება აქვს, ვადიანი კონტრაქტის მოქმედების პერიოდში სამუშაოდან გაათავისუფლოს დასაქმებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ხვიჩა დოლბაია დასაქმებული იყო ერთდროულად ორ იურიდიულ პირში, რასთან დაკავშირებითაც, ა(ი)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" ქუჩების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროს მინდია ბარამიას არაერთხელ მიეცა სიტყვიერი გაფრთხილება მის დაქვემდებარებაში მყოფი ხვიჩა დოლბაიას მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მინდია ბარამიას მიერ არ იქნა აღმოფხვრილი ზემოთქმული, რის გამოც თანამდებობიდან გათავისუფლდა დოლბაია.

ზუგდიდის ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის" თანამშრომელი, ქალბატონი კესარია წულაია, სამსახურიდან გათავისუფლდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, და არა პოლიტიკური მოტივაციით. ბრძანებაში მითითებულია წულაიას გათავისუფლების შესაბამისი საფუძვლები, რაც გამოიხატება მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებითა და გარკვეული გადაცდომებით.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ზემოხსენებულ ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა, სამსახურიდან გათავისუფლებული პირების მიერ მათი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია სასამართლოში.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ მომდევნო ინფორმაციაზე, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკური პარტიის „საქართველოსთვის" ხაშურის მერობის კანდიდატის, ბატონი ზვიად ტეფნაძისა, და მისი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ ზეწოლა/მუქარას, ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ პოლიციამ დაამუშავა ინფორმაცია და უახლოეს საათებში უკვე უნდა დაწყებულიყო გამოძიება. მისი თქმით, კონკრეტული შედეგების შესახებ დეტალურ ინფორმაციას კომისიის შემდგომი სხდომისთვის წარმოადგენს.

რამდენადაც გავრცელებულ ინფორმაციაში ფიგურირებდა თბილისის მერიის თანამშრომელი ნინო აბდუშელიშვილიც, რომელმაც თითქოს თანამშრომლების მიმართ ბრძანება გასცა, ონლაინ იერიში მიეტანათ ექსპრემიერის მიმართ, თბილისის მერიის წარმომადგენელმა, ბატონ მამუკა ჯაყელმა, აღნიშნა, რომ თბილისის მერობის კანდიდატის, ბატონი გიორგი გახარიას, მიმართ ინტერნეტშეტევის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხს სწავლობს თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური. მისი თქმით, ნინო აბდუშელიშვილი უარყოფს მონაწილეობას მსგავს ფაქტში და თუ წარმოდგენილი იქნება დასახელებული პირის მაიდენტიფიცირებელი მასალები და გამოვლინდება შესაძლო დარღვევა, მონიტორინგის სამსახური მიიღებს შესაბამის ზომებს.

საკითხზე, რომელიც შეეხებოდა ტენდერებსა და არჩევნებს („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" კოორდინატორ და შტაბის უფროს ბესიკ შუბლაძის კომპანიის მიერ არჩევნების წინ ვანის ბიუჯეტიდან 155 000 ლარზე მეტის მიღება), ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული განმარტება, რომლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლებაში მცხოვრები ბესიკ შუბლაძე, შპს „20-20"-ის დირექტორი, არ არის სოფელ ამაღლების „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" არც შტაბის უფროსი

და არც კოორდინატორი. რაც შეეხება ტენდერს, აღსანიშნავია, რომ ტენდერში, რომელშიც გაიმარჯვა შპს „20-20"-მა, მონაწილეობის მიღება, ისევე, როგორც სხვა ტენდერებში, შეეძლო ნებისმიერ მსგავს კომპანიას. არჩევნების წინ თანხის მიღებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტი ხაზს უსვამს, რომ ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც თანხის ჩარიცხვა ხორციელდება სამუშაოების დასრულებისას, შესრულებული სამუშაოს დადასტურებისას და ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. ზემოხსენებულ შემთხვევაში, სამუშაოები უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის 8 ნოემბერს. შესაბამისად, თანხაც ანაზღაურდება სამუშაოების ჩაბარების შემდეგ.

ამ ინფორმაციასთან დაკავშირებულ მეორე საკითხზე – გამარტივებული წესით შპს „20-20"-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც შეიქმნა მთავრობის №658 განკარგულების საფუძველზე. მთავრობის განკარგულების შესაბამისად, პროგრამა გათავისუფლებულია ტენდერის ჩატარების ვალდებულებისგან. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა წლების განმავლობაში მიმდინარეობს, რაც გულისხმობს მცირებიუჯეტიანი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას სოფლებში. ბიუჯეტის გახარჯვის პრინციპს წარმოადგენს სოფლის კრების მეშვეობით მოსახლეობის მიერ არჩეული პროექტები, რომელთაც შემდგომ ახორციელებს მუნიციპალიტეტი.

ვანის შემთხვევასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელმა, ბატონმა ბესიკ ქოჩიაშვილმა, განაცხადა, რომ, ზოგადად, კანონმდებლობა არ კრძალავს იმ დამფუძნებელი პირის კომპანიასთან ტენდერის შედეგად ხელშეკრულების გაფორმებას ან გამარტივებულ შესყიდვას, რომელიც ამავე დროს არის პარტიული აქტივისტი ან კოორდინატორი. მისი თქმით, აუდიტის სამსახური ტენდერების კანონთან შესაბამისობის შემოწმებას უზრუნველყოფს აუდიტორული შემოწმების საფუძველზე, რომელსაც ის წლიური გეგმის ფარგლებში ატარებს. მართალია, ვანის მუნიციპალიტეტი არ არის ჩასმული მიმდინარე აუდიტორულ გეგმაში, მაგრამ აუდიტის სამსახურს ვალდებულება აქვს, ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მაინც შეამოწმოს ყველა მუნიციპალიტეტი და ზემოხსენებულის მსგავსი ტენდერებიც აუდიტორული შემოწმების ფარგლებში ხვდება.

შემდეგ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხებოდა ჩაქვში საჯარო სკოლების მოსწავლეების შესაძლო ჩართვას საარჩევნო კამპანიაში, ისაუბრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა.

ქალბატონმა თამარმა წარმოადგინა ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის განმარტება, რომლის შესაბამისად, ყველა სკოლა ქობულეთის მუნიციპალიტეტში დეტალურად არის ინფორმირებული პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისგან თავის შეკავების თაობაზე. რესურსცენტრის აზრით, მიზანმიმართულად ხდება სიტყვა „მოსწავლის" გამოყენება, რათა როგორმე საზოგადოებას ეჭვი გაუჩნდეს ამ პროცესებში სკოლის მონაწილეობაზე. ქორეოგრაფიული კერძო ანსამბლის წევრებისგან შემდგარ კერძო მიმოწერაში შესაძლოა, რომელიმე წევრმა რაიმე მოუწოდა სხვებს, თუმცა, ამას სკოლის მოსწავლეთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. რაც შეეხება სიუჟეტში მონაწილე მეორე რესპონდენტს, ვინც ამ განცხადებას ავრცელებს, არის ჩაქვის სკოლის ყოფილი დირექტორი. მას ვადის ამოწურვის გამო დირექტორის უფლებამოსილება შეუჩერდა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნაზე ვადა აღარ გაგრძელებია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები ყოფილი დირექტორის

ერთგვარ ანგარიშსწორებას ემსგავსება ყოფილ კოლეგასთან. აღსანიშნავია, რომ ყოფილი დირექტორი ამ სკოლაში აგრძელებს პედაგოგად მუშაობას და პარალელურად კენჭს იყრის სოფელ ჩაქვში. ქალბატონი თამარის თქმით, არ იკვეთება არც სკოლის და არც რესურსცენტრის ჩართულობა ზემოაღნიშნულ საკითხში.

შემდგომ ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა წამოაყენა იდეა, ხომ არ არის საჭირო კომისიის მხრიდან რაიმე ზომების მიღება, რათა არასრულწლოვნები მაქსიმალურად იყვნენ დაცულნი წინასაარჩევნო პროცესში ჩართულობისგან.

ქალბატონი თამარის განცხადებით, მართალია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ მხრივ ყოველ წელს ახდენს თავისი უწყებების ინფორმირებას საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების თაობაზე, მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმა ამ ყველაფრის გასაკონტროლებლად მნიშვნელოვანი იქნება პროცესებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობა.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რამდენადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს თავისი კონკრეტული მანდატი, ეფექტურობისთვის აუცილებელი იქნება ამ მხრივ მულტისექტორული ჩართულობა. მისი თქმით, საკითხი რთულ კატეგორიას განეკუთვნება და, ამდენად, სათანადოდ გაანალიზებაა საჭირო.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, უწყებათაშორისი კომისია ღიაა ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის კუთხით და თუ მომავალში კომისიის წევრებისგან, პოლიტიკური პარტიებისგან ან არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ამ მხრივ იქნება რაიმე სახის შემოთავაზება/ინიციატივა, კომისია საჭიროებისამებრ თავისი მანდატის ფარგლებში იმსჯელებს შესაბამისი რეკომენდაციის თაობაზე.

პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულ განცხადებასთან (სოფელ მამათში მერიის წარმომადგენლის, სოფლის რწმუნებულ გელა პატეიშვილის, მთელი ოჯახი დასაქმებულია საარჩევნო კომისიაში. ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, საარჩევნო უბანში წარმოდგენილნი არიან ოჯახის წევრები და ნათესავები) დაკავშირებით ცესკო-ს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი სანტურიანმა, აღნიშნა, რომ საკითხი მოიკვლია ცესკო-მ. მისი თქმით, საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულია, თუ ვინ შეიძლება დაინიშნოს საუბნო საარჩევნო კომისიებში წევრებად. შესაბამისად, კანონი არ კრძალავს მერიის წარმომადგენლის/თანამშრომლის ოჯახის წევრის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშვნას. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ცხადი იყო, რომ კანონი არ ირღვეოდა, მაგრამ საარჩევნო ადმინისტრაციამ საკითხი მაინც გადაამოწმა.

მომდევნო ინფორმაციასთან (სოფელ ფახულანში პედაგოგზე ზეწოლის ფაქტი, რომელმაც კანდიდატურა მოხსნა და ხდება მისი დისკრედიტაცია. რესურსცენტრი ემუქრება სამსახურიდან მისი ოჯახის ყველა წევრის გათავისუფლებით) დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ქალბატონი თამარ ქიტიაშვილის, განცხადებით, უწყებამ მოიკვლია საკითხი შესაბამის რესურსცენტრში. წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროს ლირა ღურცკაიას განცხადებაზე დაყრდნობით, ისტორია ვითარდება არა ფახულანში, როგორც სიუჟეტშია ნათქვამი, არამედ ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში და სიუჟეტის გმირი ქალბატონი არის ერთ-ერთი წარმატებული და ღირსეული პედაგოგი ჭალის №1 საჯარო სკოლაში. ქალბატონი

ლირას ინფორმაციით, ეს პედაგოგი მრავალი წარმატებული პროექტის ავტორი და მონაწილეა სასკოლო ცხოვრებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტების ფარგლებში. როგორც რესურსცენტრის უფროსი აღნიშნავს, ჭალის №1 საჯარო სკოლასა და ქალბატონ ლალისთან ურთიერთობა პროფესიული საქმიანობის ფარგლებს არ გასცდენია, რომლის გადამოწმებაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სულაც არ წარმოადგენს პრობლემას. ის აქვე აღნიშნავს, რომ რესურსცენტრის სახელის ასე ხელაღებით მოხსენიება უსამართლოა და საფუძველს მოკლებული; არაჯანსაღი, არასაქმიანი ურთიერთობა არ არის მისი ხელწერა და ამაში მასთან თუნდაც მინიმალურ შემხებლობაში მყოფი ნებისმიერი პირი დაემოწმება.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მის უწყებაში შესაძლო იძულების ფაქტზე დაწყებულია გამოძიება და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში საქმეს მიეცემა შესაბამისი მსვლელობა.

ბატონმა გიორგი წოწკოლაურმა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე) „ლელოს" წარმომადგენელ ბადრი ჯაფარიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან (ვანში „ლელოს" კანდიდატის მეუღლის გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია არ დაფინანსდებოდა ამავე პარტიის სახელით საარჩევნო კამპანიაში აქტიურად მონაწილეობის გაგრძელების შემთხვევაში) დაკავშირებით აღნიშნა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. მისი თქმით, ოპერაციის დაფინანსების თაობაზე ნებისმიერი პიროვნება ჯანდაცვის სამინისტროს მიმართავს შესაბამისი გამოკვლევისა და სამედიცინო ფორმა №100-ის საფუძველზე.

ოპოზიციის წარმომადგენელთა მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის (მოსყიდვა, დაშინება, ამომრჩეველსა და ოპონენტებზე ზეწოლა, ძალადობა, ოპოზიციურად განწყობილი ოჯახების მიზანში ამოღება პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფ სამართალდამცველთა მიერ) თაობაზე, რომლის თანახმადაც, ხულოში მმართველი პარტიის ოპონენტებს პოლიცია თავს დაესხა, ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ მიმდინრე წლის 27 აგვისტოს შს ხულოს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება რ.წ-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა/შენახვის ფაქტზე (სსკ 236-ე მუხლი). საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად არ დადასტურდა იარაღის შეძენა/შენახვა. შესაბამისად, 31 აგვისტოს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება. რაც შეეხება სამართალდამცველთა მხრიდან გადაცდომას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, მომხსენებლის თქმით, ამისთვის არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და გენერალური პროკურატურა და შეუძლიათ მიმართონ მათ შესაბამისი განცხადებით.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან (მოსყიდვისა და დაშინების პარალელურად მმართველი პარტიის მიერ დაუფარავ თაღლითობაზე გადასვლა; ვადების დარღვევით კანდიდატთა ადგილების ცვლილება, რაზეც ცესკო თვალს ხუჭავს და ამართლებს კიდეც) დაკავშირებით ბატონმა გიორგი სანტურიანმა განაცხადა, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა პოლიტიკურ გაერთიანებებს უნდა წარმოედგინათ საოლქო საარჩევნო კომისიებში პარტიული სია და გაევლოთ შესაბამისი პროცედურები. მისი თქმით, საარჩევნო სიაში გარკვეული ხარვეზის გამოსასწორებლად მათ საოლქო

საარჩევნო კომისიისგან ეძლევათ 2-დღიანი ვადა. დასახელებულ შემთხვევაში შეუსაბამობა იყო მმართველი პარტიის მიერ სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილ პარტიულ სიაში. ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ დარეგისტრირდა როგორც პარტიული სია, ისე შესაბამისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. შეუსაბამობა იყო კანდიდატის სახელს, გვარს და სხვა რეკვიზიტებს შორის, რის გამოც სიაში გადანაცვლდა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა სახელი და გვარი. ბატონი გიორგის თქმით, მოცემულ შემთხვევაში კანონი არ დარღვეულა. საქმე გასაჩივრდა ცესკო-სა და სასამართლოში. სასამართლომ ვერ დაადგინა კანონდარღვევა და ცესკო-ს განკარგულება დატოვა ძალაში.

მედიამონიტორინგის შედეგად მოპოვებული მომდევნო ინფორმაცია ეხებოდა მუქარას პარტიის „საქართველოსთვის" წევრთა მიერ პარტიის იძულებით დატოვებასთან დაკავშირებით. სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე ბათუმის მერობის კანდიდატმა დასტურად აკაკი ბეჟანიძისა (ქედის საკრებულოს სიის წევრი) და დალი ტაკიძის (შუახევის საკრებულოს სიის წევრი) მიმართ განხორციელებულ მუქარაზე ისაუბრა. ტაკიძე ირწმუნება, რომ მას აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ფრიდონ ფუტკარაძის სახელით ემუქრებიან და პარტიის რიგების დატოვებას სთხოვენ.

ბატონი ალექსანდრე დარახველიძის თქმით, გამოკითხვის მიზნით აჭარის პოლიციის დეპარტამენტში დაბარებულმა ა.ბ-მ განაცხადა, რომ იგი იყო პარტიის „საქართველოსთვის" წევრი. მიმდინარე წლის 5-6 სექტემბერს მას დაფარული ნომრით დაუკავშირდა მისთვის უცნობი პირი და უთხრა, რომ დაეტოვებინა პარტია, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები შეექმნებოდა. მისივე განცხადებით, მომხდარი ფაქტის შესახებ აცნობა თანაპარტიელებს, პოლიციისთვის კი ინფორმაცია არ მიუწოდებია, რადგან არ გასჩენია საფუძვლიანი შიში. რაც შეეხება დ.ტ-ს შემთხვევას, აჭარის პოლიციის დეპარტამენტში გამოკითხვისას დადგინდა, რომ ის მუშაობს აჭარის რეგიონში ერთ-ერთ საჯარო სკოლაში პედაგოგად და პარტიულ სიაშია პროპორციული წესით. მისივე განმარტებით, 6-7 სექტემბერს მასთან მივიდა პიროვნება აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ფრიდონ ფუტკარაძის დავალებით და მოსთხოვა საკუთარი კანდიდატურის მოხსნა თანხისა და საჯარო სამსახურში დაწინაურების სანაცვლოდ. მომხსენებლის თქმით, მითითებულმა პიროვნებამ პოლიციას არ მიაწოდა კონკრეტული დეტალები ამ პირის შესახებ, ვერც შეთავაზებული თანხის რაოდენობა დაასახელა, ფაქტის დადასტურების არც მოწმე ჰყავს და ასეთი მშრალი ფაქტების გარდა ამ ეტაპზე უწყებას სხვა ინფორმაცია არ გააჩნია.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრ ხატია დეკანოიძის მიერ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასთან (სამტრედიაში მერისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის ღონისძიებების ნიკო ნიკოლაძის მუზეუმის ტერიტორიაზე გამართვის თაობაზე მერიიდან თანხმობის მიღებისა და მალევე პირობების შეცვლის შესახებ) მიმართებით ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა მუნიციპალიტეტის ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში მსგავსი მოთხოვნა არ შესულა ფართის დათმობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სხვა დეტალებს, მუნიციპალიტეტი ინფორმაციას ამ ეტაპზე არ ფლობს.

ამავე პარტიის წარმომადგენელ ანი წითლიძის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან (ყულიშკარის მკვიდრ რევაზ გვილიას დაბარება მმართველი პარტიის შტაბში, ყოფილი დეპუტატის, მერაბ ქვარაიას, ზუგდიდში მმართველი პარტიის მერობის კანდიდატ მამუკა წოწერიას და კიდევ ერთი სამხედრო პირის მიერ თანამშრომლობის მოთხოვნა და მუქარა – რუსეთისთვის გადაცემა, სადაც მას

წლების წინანდელი გადაუხდელი საბანკო დავალიანება აქვს) დაკავშირებით ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა განაცხადა, რომ 14 სექტემბერს რევაზ გვილიას გაესაუბრა პროკურატურის წარმომადგენელი. როგორც ბატონი რევაზი ჰყვება, მას რამდენიმე დღის წინ დაუკავშირდა მმართველი პარტიის მხარდამჭერი და შესთავაზა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დატოვება, თუმცა, მისივე განმარტებით, ის იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა შემოთავაზებას, თუ სოფელ ყულიშკარში გზას დაუგებდნენ. ზემოდასახელებულ პირებსაც პარტიის დატოვების სანაცვლოდ გზის დაგება სთხოვა სოფელში. რაც შეეხება რუსეთში გადაცემის შესაძლო მუქარის საკითხს, ბატონმა რევაზმა განმარტა, რომ მას არ დამუქრებიან, მხოლოდ უთხრეს ფრაზა: „ვიცით, რომ რუსეთში ბანკის ვალები გაქვს". ბატონი რევაზის თქმით, მის მიმართ რაიმე იძულებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, მასთან გასაუბრების შედეგად აღნიშნულ საკითხზე გამოძიება არ დაწყებულა.

მედიამონიტორინგის შემდეგი საკითხი ეხებოდა „მთავარი არხის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას (ვანში 15 სექტემბერს გაერთიანებული ოპოზიციის შეხვედრაზე თავდამსხმელთა ვინაობის დადგენა „მთავარი არხის" მიერ, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი ვანის მერიის სპორტის ა(ა)იპ-ის თანამშრომელი კახა კანკაძეა). ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განმარტებით, 11 სექტემბერს ვანის მუნიციპალიტეტში გაერთიანებული ოპოზიციის შეხვედრისას ზაალ გერსამია ხმოვანი სიგნალით მიესალმა შეხვედრის ადგილზე მეგობარს, რამაც გამოიწვია შეკრებილთა გაღიზიანება და მათი მხრიდან მიკროფონის საშუალებით ამ მოქალაქის სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამბავს მოჰყვა საპასუხო რეაქცია ზაალ გერსამიას მხრიდან. რაც შეეხება ინფორმაციაში ნახსენებ კახა კანკაძეს, ის საჯარო სამსახურში დასაქმებული პირი არ არის და მუნიციპალიტეტთან არანაირი შეხება არ აქვს.

ამავე საკითხზე ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს – წარმოება დაწყებულია ადმინისტრაციული გადაცდომის კუთხით წვრილმან ხულიგნობაზე.

მომდევნო საკითხთან (ოზურგეთის მოქმედი მერი და ამჟამად მერობის კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" კონსტანტინე შარაშენიძე წინასაარჩევნო შეხვედრას საარჩევნო კოდექსის დარღვევით ატარებს. იმის გამო, რომ მოსახლეობა მასთან შეხვედრებს ერიდება, შარაშენიძემ მერიის თანამშრომლების ნაწილი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეკრიბა, რაც კანონდარღვევაა და 2000-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს) დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა მუნიციპალიტეტის განმარტებაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ოზურგეთის მოქმედი მერი არა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", არამედ დამოუკიდებელი მერობის კანდიდატია. რაც შეხება წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მერიის თანამშრომლებთან შეკრებას, ეს მოხდა არასამუშაო საათებში და, შესაბამისად, კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ამავე საკითხზე ბატონმა გიორგი სანტურიანმა განაცხადა, რომ ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილია 2 არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივარი სამსახურებრივი ნიშნით შეკრებასთან დაკავშირებით. საქმეს სწავლობს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია და ამ ეტაპისთვის დამატებითი დეტალები ჯერ არ არის გამოკვეთილი.

მედიამონიტორინგის შემდეგი ინფორმაცია ეხებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრ ხატია დეკანოიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას. მისი თქმით, საარჩევნო სიებში ხარვეზებია –

კედლის სიებში არ იკითხება მონაცემები და რიგ უბნებზე ისინი არასათანადო ადგილზეა განთავსებული. ხატია დეკანოიძე ამ ხარვეზებს ხელოვნურ ბარიერებად განიხილავს ამომრჩევლის დაბნევის მიზნით.

მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით ბატონმა გიორგი სანტურიანმაა განაცხადა, რომ ქუთაისში ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე გაკრულ კედლის სიებში იყო ტექნიკური (ბეჭდვითი) ხარვეზი, რომელიც მალევე აღმოიფხვრა და, შესაბამისად, რაიმე მასობრივ ხარვეზებს ადგილი ჰქონია. რაც შეეხება საარჩევნო უბანზე მოშორებით კედლის სიების განთავსებას, ბატონი გიორგის თქმით, ასეთი ფაქტი დაფიქსირდა ერთ-ერთ უბანზე – სხვაგვარად იმ კონკრეტულ ადგილას ვერ ხერხდებოდა კედლის სიის განთავსება. საარჩევნო უბნიდან 200 მეტრის მანძილზე განთავსებულ კედლის სიებში ამომრჩეველი ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაუბრკოლებლად შეძლებს საკუთარი თუ ოჯახის წევრის სიაში მოძიებას. გარდა ამისა, ბატონი გიორგის თქმით, თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებებითაც ცესკო-ს საიტზე მოქალაქეს შეუძლია ზემოხსენებული მონაცემების მოძიება.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განმარტება გააკეთა მედიამონიტორინგის მომდევნო ინფორმაციაზე, სადაც საგარეჯოს მერობის კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ამბობს, რომ სოფელ კაკაბეთის მოსახლეობაზე მმართველი პარტიის მაღალჩინოსნები ზეწოლას ახდენენ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალურო მოძრაობის" მიერ გამოქვეყნებულ ვიდეომასალაში დაფიქსირებული პიროვნება არ არის არც მერიის და არც საკრებულოს თანამშრომელი, არც სიუჟეტში ნახსენები ავტომობილი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის უცნობია მითითებული პიროვნებისა და ავტომობილის მესაკუთრის ვინაობა.

მედიამონიტორინგის ბოლო ინფორმაცია ეხებოდა ხულოში შუამთობაზე ახალდაქორწინებული წყვილისთვის არაერთი მედიასაშუალების მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტად შეფასებულ საჩუქრების გადაცემას აჭარის მთავრობის თავმჯდომარისა და ხულოს მუნიციპალიტეტის მერისგან.

როგორც ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განმარტა, ხულოში ახალდაქორწინებული წყვილისთვის საჩუქრების გადაცემა არ წარმოადგენს კანონდარღვევას, რადგან ეს იყო წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, შუამთობის დღესასწაულზე ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება, რაც გათვალისწინებულია მუნიციპლიტეტის ბიუჯეტში და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

მედიამონიტორინგის საკითხების ამოწურვის შემდგომ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ კომისიას მიაწოდა სხდომის დღეს კომისიის სამდივნოს ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი ცესკო-ს საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის მომართვა. ბატონი მიხეილ ანდღულაძის მხრიდან მოწოდებულია შემოთავაზება, რომ უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე წარმოადგინოს გარკვეული მოხსენება საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობასა და მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით კომისიის წევრთა თანხმობის საფუძველზე.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისათვის და აღნიშნა, რომ კომისიის შემდეგი სხდომა გაიმართება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ და თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა:

– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე.

სხდომა დასრულდა 17:50 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: